

ინფლაციის დეფლაციამდე

ხატუნა ხარხელაური
ბიზნესის ადმინისტრაციის
აკადემიური დოქტორი
ნინო მაზიაშვილი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
პროფესორი

ინფლაცია არის იმ საქონლისა და მომსახურების საშუალო ფასის ღრის ზრდა, რომელიც იწარმოება და იყიდება ეკონომიკაში. ინფლაცია, თავისი უარყოფითი შედეგების გამო, საზოგადოებაში უარყოფით ემოციებს იწვევს. მაღალ ინფლაციასთან დაკავშირებული უარყოფითი ასპექტებია: ხარჯების ზრდა, რაც ძლიერ დარტყმას აყენებს მთლიანად საზოგადოებას და განსაკუთრებით, დაბალშემოსავლიან ოჯახებს; ეროვნული ვალუტის მსყიდველუნარიანობის კლება; ეროვნული ვალუტის გაუფასურება უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში; რეალური მოგების კლება ბიზნესებში; ინვესტიციებზე ამონაგების შემცირება; საპროცენტო განაკვეთების მატება, რაც კრედიტს ამკვირებს; ამავე დროს, თუ ინფლაციის დონე ქვეყანაში უფრო მაღალია, ვიდრე მის სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში, პროდუქტების კონკურენტუნობა ეცემა, რაც აფერხებს ეკონომიკის ზრდას.

წლიური ინფლაცია ჯანსაღი ეკონომიკის პირობებში 2-3 პროცენტს უნდა აღწევდეს. საქართველოს ეროვნული ბანკი კი ინფლაციის მიზნობრივ მაჩვენებლად 6%-ს ისახავს, რაც ბოლო წლებში მიუღწევადი აღმოჩნდა საქართველოს ეკონომიკისათვის.

ამ მხრივ ყველაზე რთული 2011 წელი გამოდგა. 2011 წელს ინფლაცია საქართველოს ეკონომიკის ყველაზე სერიოზულ გამოწვევად შეიძლება ჩაითვალოს. საშუალო წლიურმა ინფლაციამ 8.5% შეადგინა. ინფლაციამ პიკს 2011 წლის მაისში მიაღწია - წლიური 14.3%, რაც ბოლო სამი წლის განმავლობაში რეკორდულად მაღალი მაჩვენებელი იყო. საქართველოში ფასების მატების მთავარი მიზეზი გლობალური ფასების მატება იყო. მხოლოდ 2011 წლის პირველ კვარტალში, ნავთობის ფასები თითქმის 35%-ით გაიზარდა.

2011 წლის მეორე ნახევრიდან მოყოლებული, საქართველოში ინფლაციამ იკლო, რაც ძირითადად სეზონური ფაქტორითა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისა და სურსათზე ფასების შემცირებით აიხსნება.

ამ პერიოდისთვის საქართველოში არსებობდა პოზიტიური კორელაცია საერთო ინფლაციასა და სურსათსა და ნავთობზე საერთაშორისო ფასებს შორის. ამავე დროს, პოზიტიური კორელაცია იყო სურსათზე მსოფლიო ფასებსა და ადგილობრივ სასურსათო ინფლაციას შორის. და ბოლოს, სასურსათო ინფლაცია საქართველოში უფრო მაღალი, მერყევი

და ხანგრძლივი იყო ვიდრე არასასურსათო ინფლაცია; შედეგად, საერთო ინფლაცია საბაზო ინფლაციაზე მაღალია.

2011 წელს დიდი სხვაობა დაფიქსირდა საბაზო და საერთო ინფლაციის მონაცემებს შორის, ხოლო წინა წლებში საბაზო და საერთო ინფლაციის მონაცემები მეტნაკლებად მიახლოებული იყო. ამის მიზეზი სურსათზე, ნავთობსა და ნავთობპროდუქტებზე ფასების მკვეთრი მატებაა, რომლებიც საბაზო ინფლაციის მაჩვენებელში არ აისახება.

2012 წლიდან საქართველოს ეროვნულმა სტატისტიკის სამსახურმა სამომხმარებლო კალათაში ცვლილებები შეიტანა - კალათაში 9.8%-ით შემცირდა სურსათისა და არაალკოჰოლური სასმელების წილი, რამაც საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. მსგავსი ეკონომიკური მაჩვენებლების მქონე ქვეყნებთან შედარებით, სურსათის წილი სამომხმარებლო კალათაში ყველაზე დაბალი საქართველოშია. აღსანიშნავია, რომ სურსათის საშუალო წილი მოწინავე ქვეყნებში 17%-ია, ხოლო განვითარებად ქვეყნებში - 31%.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში იმპორტირებული სასოფლო-სამეურნეო საქონლის ორი მსხვილი პროდუქტის - ხორბლისა და შაქრის ფასი წლის განმავლობაში მერყეობდა, ინფლაცია არ იყო გამოწვეული მხოლოდ სურსათზე მსოფლიო ფასების ზრდით.

თავიანთი ბუნებით ფულადი გზავნილებიც ინფლაციურია. საქართველოს ეროვნული ბანკის (სეპ-ი) მონაცემებით, 2011 წელს საქართველოში ფულადი გზავნილების ოდენობამ 1 მილიარდ აშშ დოლარს გადააჭარბა.

ინფლაცია შეიძლება ასევე გამოიწვიოს მუდმივმა ფისკალურმა დეფიციტმა და სახელმწიფოს დიდმა საგარეო ვალდებულებამ. ვფიქრობთ, რომ საქართველოს მთავრობის მთავარი გამოწვევა მცირე ზომის და ეფექტიანი სამთავრობო ოპერაციების შენარჩუნება იყო ეკონომიკის ზრდის მაღალი ტემპის ხელშესაწყობად. სხვა გარდამავალი ქვეყნების გამოცდილებამ აჩვენა, რომ

ფისკალური კორექტირების ან ძლიერი ფისკალური პოზიციის გარეშე მათ ინფლაციის შემცირება ვერ შეძლეს. მზარდი საგარეო ვალი, რომელიც მიმართული იყო სოციალური დანახარჯების დასაფინანსებლად, ასევე ინფლაციურია.

საქართველოში ინფლაცია რამდენიმე ურთიერთდაკავშირებულმა ფაქტორმა გამოიწვია და მრავალგანზომილებიან კონტექსტში უნდა იქნეს განხილული. მაღალი ინფლაცია ძირითადად იმპორტის ფაქტორისა და დაუბალანსებელი ბიუჯეტის შედეგი იყო, ზოგიერთი ექსპერტის აზრით „მონეტარული პოლიტიკა ამ შემთხვევაში პრობლემას არ წარმოადგენდა“¹. საბიუჯეტო ხარჯებში (განსაკუთრებით, სოციალურ ხარჯებში) მკვეთრმა ცვლილებებმა ხელი შეუწყო ინფლაციური ზეწოლების წარმოქმნას, ვინაიდან ეს კონკრეტული კატეგორია პოზიტიურ კორელაციაშია მოხმარებასთან.

საქართველოში, 2011 წლის მაისში 14.3%-მდე (ყველაზე მაღალი ოფიციალური მაჩვენებელი) გაზრდის შემდეგ, წლიური ინფლაციის დონე კლების ტენდენციით ხასიათდება, არაც 2010 წლიდან ბანკის მონეტარული პოლიტიკის გამკაცრების შედეგია. 2011 წლის მესამე კვარტალში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკის შევსება დაიწყო. ეს ნაბიჯი დაკავშირებული იყო ინფლაციის საპროგნოზო მაჩვენებლის მიზნობრივ დონეზე უფრო მეტად შემცირებასთან. მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა რეფინანსირების (პოლიტიკის) განაკვეთი ჯამურად 2011 წლის ივ-


ლისიდან, 8 პროცენტიდან 2012 წლის იანვარში 6.5 პროცენტამდე შემცირდა. ეროვნული ბანკის პროგნოზით, აღნიშნული განაკვეთის შემცირების პოლიტიკა ხელს შეუწყობდა საშუალოვადიან პერიოდში ინფლაციის მაჩვენებლის მიზნობრივ დონეზე შენარჩუნებას.²

როგორც სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებიდან ჩანს 2011 წელს ინფლაცია 14,5%-0,5% მდე მერყეობდა. ხოლო 2012 წელი მთლიანად დეფლაციური პროცესით ხასიათდებოდა.

დეფლაცია მიმოქცევაში არსებული ფულის მასის შემცირებაა ჭარბი ფულის ბრუნვიდან ამოღების გზით. დეფლაცია ნიშნავს მოვლენას, როდესაც ინფლაციის წლიური პროცენტი ეცემა ნულს ქვემოთ. ამის ეფექტი არის ის რომ იგივე თანხით შესაძლებელია უფრო მეტი პროდუქციის და მომსახურების შეძენა. ეს არის პროდუქტებისა და მომსახურების ფასების შემცირების გრძელვადიანი პროცესი.

დასავლეთში ეკონომისტები ინფლაციაზე მეტად დეფლაციას უფრო ხიან, ვინაიდან დეფლაციის სპირალიდან ქვეყნის გამოყვანა გაცილებით უფრო ძნელია, და საბოლოო ჯამში დეფლაციის სპირალი ეკონომიკურ დეპრესიას მოასწავებს. ფასების ვარდნა ძირითადი მოხმარების საქონელზე ხდება მოთხოვნის დაცემის გამო (მომხმარებელს არა აქვს საკმარისი ფული საჭირო საქონელი შეიძინოს), რაც შესაბამისად ამცირებს მიწოდებას (მიმწოდებელს არ ეყიდება უკვე ბაზარზე გამოტანილი საქონელი), რაც

წლიური ინფლაციის დონე საქართველოში
(წინა წლის შესაბამის თვესთან, პროცენტული ცვლილება)



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

¹ ინფლაცია საქართველოში-გამომწვევი მიზეზები და დაძლევის გზები, EPRC, 2012. <http://www.eprc.ge/admin/editor/uploads/files/InflationGeoWeb2012.pdf>

² ინფლაციის მიმოხილვა 2011წ, IV კვარტალი. საქართველოს ეროვნული ბანკი. http://www.nbg.gov.ge/uploads/publications/inflationreport/2011/inflacia_4q_2011_geoes_boloa_meotxekivartali.pdf

უწყობს უმუშევრობის ზრდას (შემცირებული შემოსავლის გამო მიმწოდებელი იძულებულია შეამციროს ეკონომიკური საქმიანობა და დაითხოვოს მუშახელი), რაც კიდევ უფრო ხელს უწყობს ბაზარზე მოთხოვნის შემცირებას (უმუშევარს ნაკლებად შეუძლია საქონლის შეძენა), რაც იწვევს დეფლაციის მომდევნო ეტაპს და ასე შემდეგ. დიდი დეპრესიის დროს სწორედ დეფლაციის გადალახვა გახდა წარმოდგენილად ძნელი და საბოლოოდ მისი დაძლევა შეერთებულმა შტატებმა მხოლოდ მე-2 მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ მოახერხა. საბერძნეთში ეკონომიკური დეპრესიის პირობებში წელს დეფლაცია არის მოსალოდნელი ნახევარი პროცენტის დონეზე (0.5%), რაც საბოლოო ჯამში ამ ქვეყნის დეპრესიიდან გამოსვლას უშლის ხელს.

ფასების შემცირების ალტერნატიული ახსნა გულისხმობს საქონელზე ფასების დაცემას მიმწოდებელთა შორის კონკურენციის გამო. მაგალითად, პატარა კომპიუტერებზე (მობილური ტელეფონები და მისთ.) ფასები სტაბილურად ეცემა ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში (დასავლეთში მაინც) და ეს იმის გამო ხდება, რომ უფრო ბევრი მეწარმე ამზადებს იმავე პროდუქტს, უკეთესად და აგრეთვე, უფრო მეტ მომხმარებელს შეუძლია ამ პროდუქტს შეძენა – აქ კონკურენციის შედეგები დამოკიდებულია მუდმივ ინოვაციაზე და საქონლის ხარისხის გაუმჯობესებაზე და შესაბამისად, ბაზრის გაზრდაზე. მაგრამ, შეუძლებელია ეს ახსნა ჰქონდეს სურსათზე ფასების დაცემას. ჯერ იქედან დაიწყო, რომ მსოფლიო ფასებთან შედარებით საქართველოში სურსათის ფასი არასდროს ყოფილა ძალიან მაღალი. შემდეგ, როდესაც პურზე, ყველზე და ხორცზე მიღება საქმე, ინოვაცია და პროდუქტის გაუმჯობესება ბევრ არაფერ შუაშია – ხორცი რაც იყო შარშან, იგივეა წელსაც. ესეც არ იყოს, ქვეყანაში სადაც მოსახლეობის ერთ სულზე საერთო ეროვნული შემოსავალი \$3,000 არ აღემატება, ლაპარაკიც ზედმეტია ფასების ვარდნაზე მიმწოდებელთა შორის მძაფრებული კონკურენციის გამო.

ექსპერტების აზრით, საქართველოს ეკონომიკა დეფლაციურ სპირალშია შესული და აქედან მის გამოყვანას მეტად გაბედული ნაბიჯები დასჭირდება – შემცირებული ფასები იწვევს შემცირებულ ეკონომიკურ წარმოებას რაც თავის მხრივ იწვევს შემცირებულ შემოსავალს ხალხისთვის რაც შედეგად იწვევს დასახარჯი ფულის რაოდენობის შემცირებას რაც კიდევ უფრო ამცირებს ფასებს და ა.შ.

2012 წელს დეფლაცია და შემცირებული ეკონომიკური აქტივობა დაფიქსირდა მიუხედა-

ვად საზღვარგარეთიდან გადმორიცხული თანხის ზრდისა – დეკემბერში ამ მატყამ შეადგინა 6.1%. თავისებური ლოგიკით, ეროვნული ბანკი ამ თანხას მიიჩნევს არასაკმარისად, და სწორედ ამას აბრალებს მცირე მოთხოვნას მომხმარებელთა შორის. ეს გამართლება აბსურდულად ჟღერს, თუმცა ეროვნულმა ბანკმა ლოგიკური ნაბიჯი გადადგა და სესხის საბაზისო განაკვეთი 5.25 პროცენტამდე შეამცირა, რათა სტიმული მისცეს სესხების გაცემას.

ამავე დროს, საქართველოს საგარეო ვალმა 13 მილიარდ დოლარს გადააჭარბა და 2012 წლის სექტემბრისთვის ის წინა პერიოდთან შედარებით 20 პროცენტით გაიზარდა. აქედან შესაძლებელია არის მთავრობის მიერ აღებული ვალი, რაც იმაზე მეტყველებს, რომ 2012 წელს მთავრობა ვალის აღებას არ ერიდებოდა, მაგრამ მაინცდამაინც მას გონივრულად ვერ ხარჯავდა — ეკონომიკურ საქმიანობას და მომხმარებლის აქტივობას სტიმული ვერ მიეცა. საზღვარგარეთიდან გადმორიცხული თანხის ზრდისა და საგარეო ვალის ზრდის პირობებში ქვეყანაში დეფლაციის ფაქტი უფრო დამაფიქრებელია – აშკარაა, რომ ვალი ეკონომიკურ სტიმულს არ იძლევა, ხოლო გამოგზავნილი ფული კი არსებულ ნაპრაღს მოთხოვნა-მიწოდების შორის ვერ ავსებს.

2013 წლის თებერვალში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშში³, ეროვნული ბანკი გვთავაზობს თავის ვარაუდს, მონეტარული პოლიტიკის გადაწყვეტილებების დროში შედეგიანობის შესახებ: “მონეტარული პოლიტიკის გადაწყვეტილებები გავლენას ახდენს ეკონომიკაზე გარკვეული დროის შემდგომ (4-6 კვარტალი). ამიტომ მონეტარული პოლიტიკის ფორმირება ხდება ინფლაციის საპროგნოზო მაჩვენებელზე დაყრდნობით, რათა საშუალოვადიან პერიოდში ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი იქნას მიღწეული. საშუალოვადიანი პერიოდის ჰორიზონტი დამოკიდებულია ეკონომიკაში არსებულ შოკებსა და ეგზოგენურ ფაქტორებზე, რომლებიც ინფლაციასა და ერთობლივ მოთხოვნაზე მოქმედებს.” შესაბამისად ინფლაციის მიზნობრივ 6% ნიშნულთან გატოლების პერსპექტივა (წინა ანგარიშის მიხედვით 2013 წლის მეორე ნახევარი) მთელი წლით, 2014 წლის მეორე ნახევრამდე გადავადდა.


აპრილის მონაცემებით, რომლებიც საქართველოს სტატისტიკის სამსახურმა გამოაქვეყნა, ინფლაციის მაჩვენებელი - 1,7 პროცენტს შეადგენს.

³ ინფლაციის მიმოხილვა 2013წ.თებერვალი.

საქართველოს ეროვნული ბანკი. http://www.nbg.gov.ge/uploads/publications/inflationreport/2013/ir_2013q1_publish_tebervali_05_03_12.pdf

ეკონომიკური თეორიის პრობლემები

მთლიანი ინფლაცია, წლიური



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

რამდენიმე სიტყვა იმაზე, თუ რა გაუძვირდა და რა გაუიაფდა საქართველოს მოსახლეობას 2013 წლის თებერვალთან და 2012 წლის აპრილთან შედარებით.

იმავე სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, მიუხედავად წინასაარჩევნო და პოსტსაარჩევნო მოლოდინებისა, ფასების კლების ტენდენცია საყოფაცხოვრებო ტიპის გადასახადებს არ შეხებია, პირიქითაც კი, წინა თვის მაჩვენებლებთან შედარებით შემდეგი ტენდენცია გამოიკვეთა: საცხოვრებელი, წყალი, ელექტროენერგია, აირი - ამ ჯგუფში ფასები გაიზარდა 9,2 პროცენტით. შესაბამისად, ფასების მატება დაფიქსირდა საცხოვრებელთან დაკავშირებული სხვა მომსახურების ქვეჯგუფზე (31,4 პროცენტი).

2012 წლის ანალოგიურ პერიოდთან კი გვაჩვენებს, რომ ამჯერად გაძვირებული პროდუქტის ნუსხაში ჯანმრთელობის დაცვა - ამ ჯგუფში ფასები გაიზარდა 3,9 პროცენტით. ფასები გაიზარდა ამბულატორიულ სამედიცინო მომსახურებაზეც (13,4 პროცენტი).

სამაგიეროდ, გაიაფებულ პროდუქციას შორის, მაგალითად აპრილისა და თებერვლის მონაცემების შედარებით შემდეგი სურათია:

სურსათი და უალკოჰოლო სასმელები - ამ ჯგუფში ფასები შემცირდა 1,3 პროცენტით. აღნიშნულ ჯგუფში ფასები შემცირდა შემდეგ

ქვეჯგუფებზე: რძე, ყველი და კვერცხი (7,8 პროცენტი), შაქარი, ჯემი და სხვა ტკბილეული (1,6 პროცენტი). ამასთან ფასები გაიზარდა ხილისა და ყურძნის ქვეჯგუფზე (4,7 პროცენტი). ტრანსპორტი - მოცემულ ჯგუფში ფასები შემცირდა 0,6 პროცენტით. ფასების კლება დაფიქსირდა საწვავ-საპოხ მასალებზე (1,4 პროცენტი).

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა თებერვალში მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 50 საბაზისო პუნქტით, 4,75%-მდე შეამცირა. ეს ყველაზე დაბალი განაკვეთია მას შემდეგ, რაც 2008 წლის იანვრიდან ეროვნულმა ბანკმა ყოველთვიური რეფინანსირების განაკვეთების დაწესება დაიწყო.

რთული ეკონომიკური მდგომარეობის ფონზე მაინც შეიმჩნევა საიმედო ნიშნები. პროფესორი ლადო პაპავა ხაზს უსვამს რამდენიმე ასეთ ნიშანს: გამჭვირვალე ბიუჯეტის შემოღება ახალი მთავრობის მიერ, საბანკო სისტემის სამთავრობო დირექტივებისგან გათავისუფლება, ახალი ფინანსთა მინისტრის კომპეტენტურობა და პრემიერ მინისტრის განმარტება სპეციალური საინვესტიციო ფონდების შექმნით მოახერხოს საქართველოში ინვესტიციის მოზიდვა. იდეა საინტერესოა, მაგრამ ასეთი სქემის წარმატების გარანტიას ვერავინ დაიხმებს წინასწარ.

FROM INFLATION TO DEFLATION

KHATUNA KHARKHELAURI
PhD of Business Administration

NINO MAZIASHVILI
PhD of economics

In economics, deflation is a decrease in the general price level of goods and services. Deflation occurs when the inflation rate falls below 0% (a negative inflation rate). This should not be confused with disinflation, a slow-down in the inflation rate (i.e., when inflation declines to lower levels). Inflation reduces the real value of money over time; conversely, deflation increases the real value of money – the currency of a national or regional economy. This allows one to buy more goods with the same amount of money over time.

Economists generally believe that deflation is a problem in a modern economy because it increases the real value of debt, and may aggravate recessions and lead to a deflationary spiral. Historically not all episodes of deflation correspond with periods of poor economic growth. Deflation occurred in the U.S. during most of the 19th century (the most important exception was during the Civil War). This deflation was caused by technological progress that created significant economic growth. This deflationary period of considerable economic progress preceded the establishment of the U.S. Federal Reserve System and its active management of monetary matters.